



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 8 „14“ 08 2019 წ

დადგენილება № 37

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის N23 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში“ და აღნიშნული დებულების:

ა) მე-4 მუხლის 4.4 პუნქტი - ამოღებულ იქნას;

ბ) მე-4 მუხლის 4.6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მისაღებ კონტინგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.“

გ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ხოლო ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები არანაკლებ 300 კრედიტისა (1 კრედიტი 25 საათი), სასწავლო კურსების/მოდულების განაწილება განისაზღვრება დარგობრივი სტანდარტით. “

დ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება

მაგისტრატურის - უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

უნარი - უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები.

საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით.

პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.

სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება;

საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

კვალიფიკაცია „მაგისტრი“ ენიჭება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი N2-ის „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ დეტალური სფეროს ქვეშ განთავსებულ პირველ ან მე-2 სვეტში მითითებულ სწავლის სფეროში.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2. 

მაკა ბერიძე